

ალექსანდრე ასლანიკაშვილი
1916-1981

2016 წელს სრულდება ქართველი გეოგრაფისა და კარტოგრაფის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, კარტოსემიოტიკის ფუძემდებლების - ალექსანდრე ასლანიკაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი.



ალექსანდრე (შურა) ასლანიკაშვილი დაიბადა 1916 წლის 17 მარტს ქ. თბილისში.

1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად კარტოგრაფიის კათედრაზე.

II მსოფლიო ომის პერიოდში იგი მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კარტოგრაფიულ განყოფილებაში და მონაწილეობდა ტოპოგრაფიული რუკების შედგენა-დაზუსტებაში. მის მიერ შედგენილი ტოპოგრაფიული რუკები გამოირჩეოდა რელიეფის გამოსახვის მაღალი პროფესიული დონით. 1945-1951 წლებში ალ. ასლანიკაშვილი მუშაობდა ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „რელიეფის კარტოგრაფიული გენერალიზაციის თეორიისათვის (1:500 000 მასშატის რუკაზე)“.

1957-1981 წლებში ალ. ასლანიკაშვილი ხელმძღვანელობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებას, 1980 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

1972-1981 წლებში იგი გახდა თსუ პროფესორი და კარტოგრაფიისა და გეოდეზიის კათედრის გამგე.

1966-1975 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის კარტოგრაფიის რედაქციას. არის ენციკლოპედიაში ჩართული მრავალი სტატიის ავტორი.

1979 წელს ალ. ასლანიკაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად.

კარტოგრაფიის თეორიისა და რუკათმეცნიერების საკითხები აისახა ალ. ასლანიკაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებში: „კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები“ [1968]

და „Метакатография. Основные проблемы“ [1974], რამაც საფუძველი ჩაუყარა მეტა-კარტოგრაფიულ კონცეფციასა და კარტოგრაფიის მეცნიერულ საფუძვლებს. თავის ნაშრომებში მან ფუნდამენტურად წარმოაჩინა კარტოგრაფიის საგანი, მეთოდი და რუკის ენა, დაამუშავა მისი თეორიული საფუძვლები. მან ლოგიკური აზროვნების ფორმები, როგორცაა: შედარება, აბსტრაგირება, განზოგადება, ანალიზი, სინთეზი და მოდელირება კარტოგრაფიულ ასახვას დაუკავშირა და შესაბამისად, დეფინიცია მისცა: შედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაქტირების, განზოგადებისა და მოდელირების კარტოგრაფიულ ფორმებს.

ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და კარტოგრაფებისათვის სამაგიდო წიგნებად იქცა. ისინი თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ალ. ასლანიკაშვილის ნაშრომების მაღალ სამეცნიერო ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1999 წელს, 25 წლის შემდეგ ცნობილმა იაპონელმა კარტოგრაფმა, საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის (ICA) ვიცე-პრეზიდენტმა (1991-1995) და თეორიული კარტოგრაფიის კომისიის თავმჯდომარემ ტოსიტომო კანაკუბომ ქ. ტოკიოში გამოსცა ალექსანდრე ასლანიკაშვილის ნაშრომი „Метакатография. Основные проблемы“ იაპონურ ენაზე (თარგმნა რუსულიდან იაპონურზე).

მეტად დიდი წვლილი შეიტანა ალ. ასლანიკაშვილმა ბლოკდიაგრამების აგების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებაში და ტოპოგრაფიულ რუკებზე დაყრდნობით პირველმა დაამუშავა ბლოკდიაგრამების აგების მეთოდიკა. ეს საკითხები აისახა მის დამხმარე სახელმძღვანელოში „გეომორფოლოგიური ბლოკდიაგრამები და მათი აგების მეთოდები“ [1955].

ალ. ჯავახიშვილისა და ა. ასლანიკაშვილის რედაქტორობით 1957 წელს გამოიცა 1: 1,000,000 მასშტაბის საქართველოს ფიზიკური რუკა, რომელიც იმ დროისთვის რელიეფის გამოსახვის საუკეთესო ნიმუშად შეფასდა.

1953 და 1956 წლებში ალ. ასლანიკაშვილმა შეადგინა რუკა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ შედგენილი XVI საუკუნის წიგნის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით. რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით მან შეადგინა და გამოსცა „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“ (მასშტაბი 1:300,000).

ალ. ასლანიკაშვილმა შეადგინა მრავალი სხვა რუკა და რედაქტორობა გაუწია მრავალ კარტოგრაფიულ ნაწარმოებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალ. ასლანიკაშვილის დამსახურება „საქართველოს სსრ ატლასის“ [თბილისი-მოსკოვი, 1964] შექმნასა და გამოცემაში. ჯერ კიდევ 1956 წელს, რიო-დე-ჟანეიროში საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის XVIII კონგრესზე გეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული ატლასების შედგენა-გამოცემა, რისთვისაც შეიქმნა კიდევ ეროვნული ატლასების კომისია. სწორედ ამ ამოცანის გამოძახილი იყო საქართველოს პირველი კომპლექსური ატლასის შექმნა. ალ. ჯავახიშვილთან ერთად, მან დაამუშავა საქართველოს ატლასის პროექტი, რომელიც გამოიცა 1964 წელს. ალ. ასლანიკაშვილი

იყო ამ ატლასის პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორის მოადგილე, ხელმძღვანელობდა საავტორო მასალის სამეცნიერო კარტოგრაფიულ დამუშავებასა და საავტორო ორიგინალების შედგენას, რომელიც განხორციელდა გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში. ატლასის შედგენაში განეული განსაკუთრებული ღვაწლის გამო, ალ. ასლანიკაშვილს, გეოგრაფიის ინსტიტუტის სხვა წამყვან მეცნიერებთან ერთად, 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.



სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

*თ. დავითაია, ალ. ასლანიკაშვილი, ვ. ჯაოშვილი,
ლ. გლადიმიროვი გ. გ. გელაქიანი*

ალ. ასლანიკაშვილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებშიც იღებდა მონაწილეობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი მნიშვნელოვანი საკავშირო ღონისძიება, მათ შორის ლანდშატმცოდნეობის III საკავშირო ყრილობა (1958). იყო ყრილობის თავმჯდომარის მოადგილე. იმდენად დიდი იყო ინტერესი ალ. ასლანიკაშვილის კარტოგრაფიის თეორიული საკითხების კვლევების მიმართ, რომ თბილისში ჩატარდა ორი მნიშვნელოვანი საკავშირო ფორუმი - V საკავშირო კონფერენცია თემატურ კარტოგრაფიაში (1973) და საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობა (1975).

ალ. ასლანიკაშვილი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლებით.

ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები:

- ალ. ასლანიკაშვილი. რელიეფის კარტოგრაფიული გენერალიზაციის თეორია. თბ., 1951;
- ალ. ასლანიკაშვილი ალ. გეომორფოლოგიური ბლოკდიაგრამები და მათი აგების მეთოდები. დამხმ. სახელმძღვ. გეომორფ. და გეოლ. სპეც. სტუდ. თბ.: თსუ, 1955. 140 გვ.;
- ასლანიკაშვილი ა.ფ. Карты и его познавательная сущность. Тб., 1967;
- ალ. ასლანიკაშვილი ალ. კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები. თბ., 1968. 298 გვ.;
- ასლანიკაშვილი ა.ფ. Метакатография. Основные проблемы“. Тб., 1974;
- და მრავალი სხვა.

რუკები (ავტორი):

- ჯავახიშვილი ალ., ასლანიკაშვილი ალ. საქართველოს ფიზიკური რუკა. მასშტაბი 1:1,000,000;
- ასლანიკაშვილი ალ., ბერძნიშვილი მ. საქართველო 1914 წ. საქართველოს სსრ ენციკლოპედია. თბ., 1981;
- ასლანიკაშვილი ა.ფ. Карта географического распространения преданий о Ш. Руставели и народных версий "Вепхистკაосани". Ред.: И.В. Мегрелидзе. 1960.

რუკები „საქართველოს სსრ ატლასში“ [1964] (ავტორი):

- ასლანიკაშვილი ალ. საქართველოს სსრ გეოგრაფიული მდებარეობა. მასშტაბი 1:56,000,000;
- ასლანიკაშვილი ალ. მოსახლეობის აღწერა (1959 წლის აღწერით). მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (1959 წლის აღწერით). მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ. მიწის ფონდი. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ. წყალთა მეურნეობა. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. თავთავიანი მარცვლელი კულტურები. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. სიმიწი. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. ბოსტნეული, ბალჩეული კულტურები და კარტოფილი. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. ტექნიკური და სპეციალური კულტურები. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. მეჩაიეობა. მასშტაბი 1:2,500,000;

- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. **მევენახეობა**. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. **ხეხილის კულტურები**. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ., ზაუტაშვილი ე. **მეციტრუსეობა**. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ. **მეცხოველეობა, ზოგადი რუკა**. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ. **სოფლის მეურნეობა, ზოგადი რუკა**. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., ვართანოვი გ. **გზები**. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ. **ეკონომიური რუკა**. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., გველესიანი გ. **ექსპორტი (1958-1963 წწ.)**;
- ასლანიკაშვილი ალ., ვართანოვი გ. **ტურიზმი და ალპინიზმი**. მასშტაბი 1:1,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., ბერძნიშვილი მ., შოშიაშვილი ნ. **საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს**. მასშტაბი 1:2,500,000;
- ასლანიკაშვილი ალ., დუმბაძე მ., მესხია შ. **საქართველოს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში**. მასშტაბი 1:2,500,000;
- ანთაძე ვ., ასლანიკაშვილი ალ., ანთელავა ი. **საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ დაყოფაში XIX ს. ბოლოს**.